სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
25.02.2016 № 31

თბილისი

სტუ-ს 2016 წლის 12 თებერვლის
№24 ბრძანების ცვლილების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და აგრარული მეცნიერებებისა და ბიოინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

I. შეტანილი იქნეს ცვლილება „2015/2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ“ სტუ-ს 2016 წლის 12 თებერვლის №24 ბრძანებაში და პირველი, მე-3 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2015/2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის საauდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის (პროფესიული უმაღლესი განათლება, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), სწავლების ყველა წლის სტუდენტებისათვის, გარდა აგრარული მეცნიერებებისა და ბიოინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტებისა, ჩატარდეს 2016 წლის 29 თებერვლიდან 2016 წლის 25 ივნისის ჩათვლით (იხ.დანართი 1);

2015/2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის საauდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) აგრარული მეცნიერებებისა და ბიოინჟინერინგის ფაკულტეტის უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), სწავლების ყველა წლის სტუდენტებისათვის ჩატარდეს 2016 წლის 14 მარტიდან 2016 წლის 09 ივლისის ჩათვლით (იხ.დანართი 1[1]);

„3.დოქტორანტურის კომპონენტში „დისერტაციის დასრულება და დაცვა“, გარდა აგრარული მეცნიერებებისა და ბიოინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტებისა, I შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს 2016 წლის 21 მარტიდან 26 მარტის ჩათვლით, II შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს 2016 წლის 18 აპრილიდან 23 აპრილის ჩათვლით. უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის სხვა კომპონენტებში პირველი შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს 2016 წლის 11 აპრილიდან 16 აპრილის ჩათვლით, ხოლო მე-2 შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს 2016 წლის 30 მაისიდან 04 ივნისის ჩათვლით (იხ. დანართი 1);

აგრარული მეცნიერებებისა და ბიოინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის კომპონენტში „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს 2016 წლის 04 აპრილიდან 08 აპრილის ჩათვლით, II შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს 2016 წლის 03 მაისიდან 07 მაისის ჩათვლით. უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის სხვა კომპონენტებში პირველი შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს 2016 წლის 25 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით, ხოლო მე-2 შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს 2016 წლის 13 ივნისიდან 18 ივნისის ჩათვლით (იხ. დანართი 1[1]);

„5.დასკვნითი გამოცდები, გარდა აგრარული მეცნიერებებისა და ბიოინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტებისა, ჩატარდეს 2016 წლის 27 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 2016 წლის 13 ივლისიდან 23 ივლისის ჩათვლით (იხ. დანართი 1);

აგრარული მეცნიერებებისა და ბიოინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2016 წლის 11 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 2016 წლის 27 ივლისიდან 06 აგვისტოს ჩათვლით (იხ. დანართი1[1]);

II. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე);

III. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

ვიცე-რექტორი
*ლ. კლიმიაშვილი*

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი *ზ. მაისურაძე*

*დანართი 1*

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## 2015/2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სასწავლო გრაფიკი

(გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და აგრარული მეცნიერებებისა და ბიოინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტებისა)

| სწავლების საფეხური | 29 თებერვალი - 05 მარტი | 07-12 მარტი | 14-19 მარტი | 21-26 მარტი | 28 მარტი - 02 აპრილი | 04-09 აპრილი | 11-16 აპრილი | 18-23 აპრილი | 25-30 აპრილი | 02-07 მაისი | 09-14 მაისი | 16-21 მაისი | 23-28 მაისი | 30 მაისი - 04 ივნისი | 06-11 ივნისი | 13-18 ივნისი | 20-25 ივნისი | 27 ივნისი - 02 ივლისი | 04-09 ივლისი | 11-12 ივლისი | 13-16 ივლისი | 18-23 ივლისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კვირა | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | XIII | XIV | XV | XVI | XVII | XVIII | XIX | XX | | XXI |
| პროფესიული უმაღლესი<br>ბაკალავრიატი<br>მაგისტრატურა<br>დოქტორანტურა ( გარდა კომპონენტისა "დისერტაციის დასრულება და დაცვა") | სააუდიტორიო მეცადინეობები | | | | | | I შუალედური გამოცდები (ტესტირებები) | სააუდიტორიო მეცადინეობები | | | | | | II შუალედური გამოცდები (ტესტირებები) | სააუდიტორიო მეცადინეობები | | | სესიები (დასკვნითი გამოცდები) | | | დამატებითი გამოცდები, ზაფხულის არდადეგები | |
| დოქტორანტურა ("დისერტაციის დასრულება და დაცვა") | დისერტაციის დასრულება | | | I შუალედური გამოცდა (ტესტირება) | დისერტაციის დასრულება | | | II შუალედური გამოცდა (ტესტირება) | დისერტაციისა და ავტორეფერატის წარდგენა სადისერტაციო საბჭოში | | | | მომზადება დისერტაციის დაცვისთვის | | | | | დისერტაციის დაცვა | | | შენიშვნა (იხ. დანართი 2) | |

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## 2015/2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სასწავლო გრაფიკი

(აგრარული მეცნიერებებისა და ბიოინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის)

| სწავლების საფეხური | 14-19 მარტი | 21-26 მარტი | 28 მარტი - 02 აპრილი | 04-09 აპრილი | 11-16 აპრილი | 18-23 აპრილი | 25-30 აპრილი | 02-07 მაისი | 09-14 მაისი | 16-21 მაისი | 23-28 მაისი | 30 მაისი - 04 ივნისი | 06-11 ივნისი | 13-18 ივნისი | 20-25 ივნისი | 27 ივნისი - 02 ივლისი | 04-09 ივლისი | 11-16 ივლისი | 18-23 ივლისი | 25-26 ივლისი | 27-30 ივლისი | 1-6 აგვისტო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კვირა | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | XIII | XIV | XV | XVI | XVII | XVIII | XIX | XX | | XXI |
| ბაკალავრიატი | სააუდიტორიო მეცადინეობები | | | | | | I შუალედური გამოცდები (ტესტირებები) | სააუდიტორიო მეცადინეობები | | | | | | II შუალედური გამოცდები (ტესტირებები) | სააუდიტორიო მეცადინეობები | | | სესიები (დასკვნითი გამოცდები) | | დამატებითი გამოცდები, ზაფხულის არდადეგები | | |
| მაგისტრატურა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| დოქტორანტურა ( გარდა კომპონენტისა "დისერტაციის დასრულება და დაცვა") | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| დოქტორანტურა ("დისერტაციის დასრულება და დაცვა") | დისერტაციის დასრულება | | | I შუალედური გამოცდა (ტესტირება) | დისერტაციის დასრულება | | | II შუალედური გამოცდა (ტესტირება) | დისერტაციისა და ავტორეფერატის წარდგენა სადისერტაციო საბჭოში | | | | მომზადება დისერტაციის დაცვისთვის | | | | | დისერტაციის დაცვა | | შენიშვნა (იხ. დანართი 2) | | |